

აშშ-ის კომპანიამ "Arthur J. Finkelstein and Associates" აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩატარებული ეგზითპოლის შედეგები გამოაქვეყნა.
შედეგები კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ბირნბაუმმა გამოაცხადა: იგბალ აღაზადე - 1.6%
ილჰამ ალიევი - 82.7%
არაზ ალიზადე - 1.2%
ჰაფიზ ჰაჯიევი - 0.7%
გუდრათ ჰასანგულიევი - 1.7%
ჯამილ ჰასანლი - 8.8%
ილიას ისმაილოვი - 0.9%
ფარაჯ გულიევი - 0.9%
სარდარ ჯალალოღლი - 0.6%
ზაჰიდ ორუჯი - 0.9%
ბირნბაუმმა ახსენა, რომ ეგზითპოლი "APA Holding"-ის მოწვევით ჩატარდა და გუნდს მადლობა გადაუხადა.

პრესკონფერენციაზე "APA Holding"-ის პრეზიდენტი ვუსალე მაჰირგიზიც იმყოფებოდა. კომპანია AJF-მ ეგზითპოლი ქვეყნის მასშტაბით 835 საარჩევნო უბანში 60 ათასზე მეტი

რესპონდენტის გამოკითხვით ჩაატარა.